# ეხო

№ 48

წელიწადი პირველი 1913

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

წლიურათ . . . . . . . . . . 7 მანეთი

ნახევარი წლით. . . . . . . . . . 4 მანეთი

თვიურათ . . . . . . . . . . 4 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

სამშაბათი, 31 დეკემ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газеты „ЭХО". Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.



„რადიუმი"

ორშაბათიდან 30 დეკემბ. ახალი დიდი პროგრამა.

I. პატე-ჟურნალი.

II. მუშა სპილოები ინდოეთში.

III. სატანელი. შესანიშნავი დრამა 3 ნაწილათ ტირის ცხოვრებიდან.

IV. გაკვეთილი ახალგაზრდა ქმრებს ძლიერ სასაცილოა.

ანონსი: ხუთშაბათს ორ იანვრიდან, სხვათაშორის, ნაჩვენები იქნება —სიდუმლო ძალები, დრამა 3 ნაწილათ ურბან გოოდის სცენარიით და შეუდარებელი მსახიობი ქალის ასტანელსენის მონაწილეობით.

პაიებზე დამყარებული ამხანაგობა ს. მ. კირაკოზოვი და გ. გ. ოზანოვი

დრაფი, ბიბერი, ტრიკო, მაუდი. ბუმაზეი, ფლანელი, ვიგონი, შოტლანდკა.

მიღებულია დიდძალი საზამთრო საქონელი

კოტკი, პლიუში, ველვეტი.

შაბათობით იყიდება იაფათ ნაჭრები.

ველვიური, გენუია, იდეალი, ფლორა.

ქუთაისში

1913 წლის 20 ნოემბრიდან

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ გახსნა საკუთარი

ახალი სტამბა ქუთაისში

სტამბა საუკეთესოთაა მოწყობილი და იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს ქალაქსა და პროვინციებიდან:—ქართულ, რუსულ და სხ. ენებზე ზომიერ ფასებში.

ქუთაისი.

თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში

იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო ქართულსა და რუსულ ენაზე შედგენილი. მაღაზიას მუდმივ მოსდის ახლად გამოცემული რუსული და ქართული წიგნები, როგორც რუსეთის ცნობილი ფირმებიდან, ისე საქართველოს ყოველი ქალაქიდან—დაბეჭდვისთანავე.

პროვინციის მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ აკმაყოფილებს.

მაღაზია ღებულობს ხელის მოწერას ყველა რუსულსა და ქართულ ჟურნალ-გაზეთზე.

18 დეკემბრიდან

დაიწყო ხელის მოწერა

ია ეკალაძის (ი. ცინცაძის) მოთხრობათა მეორე ტომის გამოსაცემად

წიგნი შეიცავს 400—500 გვერდს დართული იქმნება ავტორის სურათი, ფაქსიმილე და კრიტიკული განხილვა.

წიგნი გამოიცემა ავტორის ხელმძღვანელობით სუფთად და ლამაზათ.

ხელის მოწერა მიიღება ბბ-ნ თ. მთავრიშვილის, კ. ოცხელის, „პროვინციის" წიგნის მაღაზიებში და კერძო აგენტებთან.

ფასი ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი.

მიწერ-მოწერა მხოლოდ ავტორთან, შემდეგის მისამართით; ქუთაისი, კათოლიკეთა ქუჩა, სახლი ხოჯევანოვისა.

გამომცემელი ია. ცინცაძე.

ქ. ქუთაისში

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

საბუღალტერო კურსები

გ. გ. გიგინეიშვილისა

15 იანვრიდან იხსნება მეორე-პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება თოხი კლასის მოწმობით, ანუ შესაფერ გამოცდას შემდეგ რუსულსა და არითმეტიკაში. კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მანეთი. თხოვნები მიიღება ყოველდღე კურსების კანცელარიაში.

ქუთაისი

პირველი კერძო სამკურნალო

სპეციალისტი აქიმებით.

მუდმივი საწოლებით თ. ა. რეხვიაშვილის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დილით.

| | |
|---|---|
| გ. ა. აშიანცი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. | 1—2 |
| გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშვის | 10—12 |
| ა. ა. რეხვიაშვილი—დოსტაქარი, ქალთა, საზებით | 11—12 |
| მ. დ. ბეთანელი—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12—2 |
| ვ. ა. ჭოლოშვილი—საზებ., ქალთა და შინაგ. | $12^1/_2$ 2 |

სალამოთ.

| | |
|---|---|
| გ. დ. ქორქაშვილი—თვალის | $4^1/_2$—$5^1/_2$ |
| ვ. ა. ჭოლოშვილი—საზებით, ქალთა და შინაგ. | $5^1/_2$—$6^1/_2$ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—სანიტარ. კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნაზველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. აქიმთა მუდმივი მორიგობა.

ტელეფონი № 53

სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოლოშვილი. წ.

გაფრთხილება.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ ჩემი ფირმის

თაფლი

ქუთაისში იყიდება მხოლოდ ივანე მარკოზის ძე ქაშანაძის მაღაზიაში მიხაილოვის ქუჩ.

ი. რ. მაისურაძე.

ალ. ჭიჭინაძისაგან შედგენილი წიგნები:

1. „მცენარები და ცხოველები ცხელი ქვეყნისა" და 2. „პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა—

სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან ნება დართულია მოსწავლეებისა და მასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის.

წიგნები იყიდება თ. მთავრიშვილის. და ამხ. მაღაზიაში.

მევენახეთა საყურადღებოთ!

1913 წლის ღვინის მოსავალს თითქმის ნახევარზე მეტი დააკლდა გოლვების, ცუდი ვეგეტაციისა და რუპესტრის დიუ ლო-ს ... „...". ერთადერთი სანერგე, რომელიც ამყნობს სხვადასხვა ... რი ნიადაგის მიხედვით შესაფერი ჯიშის ვაზებს. ... გასასყიდათ 1913—14 წლ. 35,000 ცოლიკოური, 40,000 კრახუნა, 28,000 ციცკა, 12,000 ანდასაული. 10,000 მწვანე, 32,000 რქაწითელი, 12,000 მგალობლიშვილის, 8000 ოცხანური, 35,000 საფერავი, 25,000 ალიგოტე, 8000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიონი 42,000 კაბერნე, 20,000 ფოლ—ბლანში, 28,000 გამე თეთრი და შავი და 80,0000-ზე მეტი სხვადასხვა საუკეთესო საჭმელი ჯიშის ვაზი „ლო"-ზე დამყნილი, 3309 101—14, 1202 420 A. ფასი საღვინე ვაზებისა 65 მან. $100_0$ და მეტისა—80 მან. კანტორა იმყოფება მიხეილის ქუჩაზე მმ. გოკიელის სახლში ვ. ციეზო.

გამოშვებულია!!!

ახალი პაპიროზები

„საგანგებო"

20 ცალი 5 კაპ.

ეს პაპიროზები ჩაწყობილია უბრალო ყუთში რაც შემდეგ იმლევა შიგ საუკეთესო ხარისხის თამბაქოს ჩაწყობისას.

ითხოვეთ ყველგან

რადგანაც ჩვენი ეთიკეტების მიბაძვით ყალბი ეთიკეტების კეთებას ბოლო არ ელება, საჭიროა, ყურადღება მიექცეს ფირმას და დამტკიცებულ საფაბრიკო მარკას, საჭიროა, გაფრთხილდეთ, რომ არ შეიძინოთ მცირე ფასიანი უვარგისი ჩვენი მიბაძვით გაკეთებული პაპიროზები, რომელსაც არაფერი აერთო აქვს ჩვენს პაპიროზებთან არც გემოსა და არც თვისების მხრ თ.

ТД. БОЗАРДЖІАНЦЪ съ С-ми.

ფირმა არსებობს 1858 წლიდან.

აქიმი ი. ჩარექიშვილი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

იყიდება კახიანაურში რკინის გზის გადასავალთან ორსართულიანი ქვიტკირის სახლი, დაგირავებული ბანკში, ღვინის სარდაფით, სარაიათი და ბაღით, ზომით 400 კვ. საჟ. პირობებს გაიგებთ შეიძლება ტ. მ. კუნთან, თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.

აქიმი ქ. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

აქიმი დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშვების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.


## სახელმწიფო სათათბირო.

3 დეკემბრის სხდომა.

სხდომას როძიანკო თავჯდომარეობს. შემოსულია ლიხარევის განცხადება ... სახებ ამისა, რომ ის ... მეტ ქალაქებში ... ხან შემოსულებული ... 1910 წლის 6 ივნისის კანონის ძალით უძრავ ქონებაზე გადასახადის ექვსპროცენტიანი ნორმაა დაწესებული. ექვსპროცენტიანი ნორმა არ ეხება მხოლოდ პოლონეთის სამეფოს ქალაქებს. ორატორი აღნიშნავს, რომ ეს ნორმა ორი წლით იყო შემოღებული და ახლა ორი წლის გათავებას შემდეგ ისევ ითხოვენ მის ძალაში დარჩენასო. მალინოვსკი აცხადებს, რომ სოციალდემოკრატიული ფრაქცია ამ კანონპროექტის მუხლობრივი განხილვის წინააღმდეგია. ყელიხოვი ეხება ფინანსის მინისტრის ამხანაგის სიტყვას. შემდეგ შრომის ჯგუფის სახელით ლაპარაკობს გელოვანი: ბ. ბ. სათათბიროს წევრნო! სახალხო თავისუფლების ფრაქციის წარმომადგენელმა გამოგიცხადათ თქვენ, რომ ის არ აფასებს არც მემარცხენეებს და არც მემაჯვენეებს. მე არ ვიცი, რას იტყვიან მემარჯვენეები, ხოლო შრომის ჯგუფის სახელით კი განვაცხადებ, რომ ჩვენ სახალხო თავისუფლების პარტიას არ შევკითხებივართ—გვაფასებს თუ არა, ანუ აძლევს თუ არა პარტია რაიმე მნიშვნელობას ჩვენს ხმას. ჩვენს მოვალეობათ მიგვაჩნდა, დაგვეცვა ჩვენგან გამოცხადებული პრინციპი: თუ ჩვენი ხმა იმათ არ მოეწონებათ, ამისთვის ჩვენს პრინციპს ვერ ვუღალატებთ. მართლაც ამ საკითხის გარშემო რისთვის ატყდა ასეთი ხმაურობა. რისთვის სდებენ მემარცხენეებს ბრალს, რომ ისინი წინა სხდომაზე ამ კანონპროექტის წინააღმდეგ წავიდენ:—ბრალდება, რომ მემარცხენეები და მემარჯვენეები ამ საკითხში ერთნაირათ მოქმედებენ, ნაყოფია ბრმა უაზრობისა, როგორც ეს ნათქვამი იყო სახალხო თავისუფლების ოფიციალურ ორგანოში: ბ. ბ., რისთვის უნდა ავხმაურდეთ მაშინ, როდესაც ჩვენ შემთხვევით მემარჯვენეებთან ერთად კანონპროექტის წინააღმდეგ მივდივართ და როდესაც ცხადია, თუ რა მოტივი ამოქმედებს მემარჯვენეებს ამ შემთხვევაში და რა მოტივი ჩვენ. მოვაგონებ სახალხო თავისუფლების პარტიას, როდესაც ისინი წინააღმდეგ მიდიოდენ 9 ნოემბრის კანონისა. ეს კანონი სტოლიპინის მიერ გამოცემული იყო და ეხებოდა მიწისმოწყობის საქმეს. მაშინ მათთან ერ-

# გაზ. „ერზე“ 1913 წლ. ხელის მომწერთ, ვინც დასტკვეთი ფული დროით არ წარმოადგინა, გაზეთის გზავნა 1914 წლის პირველი იანვრიდანვე მოესპობათ.

თად ამ კანონპროეკტის წინააღმდეგ წავიდენ ობრაზცოვი და მისი თანამოაზრენი. უნდა ვიკითხოთ, განა ობრაზცოვმა და მისმა მეგობრებმა მაშინ კადეტებს მხარი არ დაუჭირეს. იმ ხანებში ამის შესახებ კადეტებმა სთქვეს:—ჩვენთვის საყურადღებო არ არის, თუ შემთხვევით ვინ დაგვიჭერს მხარს; ჩვენ ვიცავთ ჩვენ პრინციპიალურ პოზიციას და ეს პრინციპიალური პოზ ცია არ არის დამოკიდებული არც აბრაზცოვებზე და არც მარკოვ მეორებზე. ბ. ბ. თუ თქვენ ინებებთ გქონდეთ საკუთარი სურვილი, რომ თქვენი პრინციპიალური პოზიციის მიხედვით მისცეთ ამა თუ იმ საკითხს ხმა, მაშინ დართეთ ნება მემარცხენეებსაც, რომ მათაც თავის პრინციპის მიხედვით გადასწყვიტონ ესა თუ ის საკითხი. მე არ შევეხები აქ იმ მოტივებს, რომლის გამოც მემარჯვენეები ამ კანონპროეკტის წინააღმდეგ მიდიოდენ, ხოლო მემარცხენეების და განსაკუთრებით შრომის ჯგუფის მოტივი, რომლის წარმომადგენელთაც მე ვითვლები ჩვენთვის ცხადია და ცხადი უნდა იყოს ეს თქვენთვისაც. ჩვენ გავაცხადეთ, რომ მთავრობას რომელსაც ჩვენ არ ვენდობით, არ მივცემთ, არ ვანდობთ არც ერთ კაპიკს. მე მგონია ეს განცხადება გარკვევითაა ნათქვამი და ჩვენ დღემდის ამ პოზიციისათვის არც ერთჯერ არ გვიღალატია და განზრახვაც არა გვაქვს მომავალში ვუღალატოთ. კადეტებიც აცხადებენ, რომ მთავრობას არც ისინი ენდობიან, არც ფულს ანდობენ, მაგრამ სათათბიროს კათედრაზე გამოდის სახალხო თავისუფლების პარტიის წარმომადგენელი ... და ამბობს: ჩვენ მთავრობას არ ვენდობით და ამიტომ 30 მილიონ მანეთს ვერ მივანდობთ, ექვს პროცენტიანი ნორმის შემოღება არ შეიძლება, ხოლო 4 პროცენტიანის კი შეიძლება, რომელიც მთავრობას 24 მილ. მანეთს მისცემს. ესაა თქვენი პრინციპიალური პოზ ცია? თუ ესაა, ჩვენ ამ გზით ვერ წამოვალთ და ამ შემთხვევაში მხარს ვერ დაგიჭერთ. ჩვენ წინათაც ვაცხადებდით და ახლაც ვაცხადებთ, რომ ამ გადასახადის სხვის ხელში გადასვლა შეუძლებელია და მისი შემცირება არ ნიშნავს ღარიბი ბინის დამქირავებელთა მდგომარეობის შემსუბუქებას. ეს აზრი ჩვენი საკუთარი აზრი არ არის, ამ აზრისაა დასავლეთი ევროპისა და რუსეთის გამოჩენილი, სახელოვანი პირობები. ისინი აშკარათ ამტკიცებენ, რომ ამ გადასახადის სხვის ხელში გადასვლა შეუძლებელია. იციან ეს სახალხო თავისუფლების პარტიის წარმომადგენლებმაც. სათათბიროს წევრმა ველიხოვმა სათათბიროს კათედრიდან განაცხადა: ეკონომისტები ამტკიცებენ, რომ ბინის ფასი ბინის პატრონის ხარჯებზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ ბინის მოთხოვნილებაზე. გამოდის, რომ კადეტი ველიხოვიც იმ პოზიციაზე სდგას, რომელ პოზიციაზე მდგომთაც ამ გადასახადის სხვის ხელში გადაცემა შეუძლებლათ მიაჩნიათ. მიუხედავათ ყოველივე ამისა, შესაძლებელია არ დაეთანხმონ და შემეკითხონ, თუ რა იწვევს ბინის ფასის გადიდებას. ამაზე პასუხს იძლევა იგივე კადეტი ველიხოვი, რომელიც ამტკიცებს, რომ სხვილ ცენტრებში, როგორიც არის მოსკოვი და პეტერბურგი ყოველწლობით მცხოვრებთა რიცხვი 40 ათასი იზდება, ხოლო ბინა კი 30 ათასისა შენდება. იმდენი ბინა არ არის რამდენიც მოთხოვნილებაა და ესაა მიზეზი ბინის ფასის გაძვირებისა. ძვირდება ბინის ფასი მიუხედავათ იმისა, სახლის პატრონი ექვს პროცენტს სხდის, ოთხსა თუ რვას. გადასახადის ნორმას ბინის ფასის გაძვირებასთან დამოკიდებულება არა აქვს. ვიმეორებ—ეს ველიხოვს კარგათ ესმის. თუ თავის სიტყვის რამდენიმე ადგილს შემდეგ ველიხოვი ივიწყებს მეცნიერებას და მიმართავს „აბივატელშჩინას“, ამას იმის გამო შვრება, რომ ასიამოვნონ ვისმე ვინაიდან თვითონვე ამტკიცებს, რომ ბინის ფასი ძვირდება მოთხოვნილების ზდის და არა გადასახადების გამო. თავის სიტყვაში, სხვათაშორის, იმასაც ამბობს, რომ გადიდებულ გადასახადს სახლის პატრონი თავის ნებით ვერ აიღებს მდგმურისაგან. თუ ეს შეუძლებელია, როგორ შეუძლიათ შეიძლონ სახლის პატრონებმა. სამწუხაროთ კადეტს ველიხოვს ეს არ აუხსნია. სათათბიროს წევრს ველიხოვს ძალიან არ მოეწონა ფინანსის მინისტრის ამხანაგის სიტყვა. რომელიც ამბობდა, რომ ოკტომბრისტებთან ერთად კადეტებს სურთ ქალაქის სხვილ მესაკუთრეებს საშობაო საჩუქარი მიართვან. ეს სიტყვა უსაფუძვლო სიტყვა არ არის და მას მეც გავიმეორებ. ველიხოვს შეიძლება ეს საშობაო საჩუქარი ამოქმედებდა (ველიხოვი ადგილიდან: ტყუილია). გასაგები იქნებოდა, რომ სახალხო თავისუფლების ფრაქციას ოკტომბრისტებთან ერთად მოეთხოვათ საშვალო და შეუძლებელ მცხოვრებლებზე არა ოთხ პროცენტიანი არამედ ორ პროცენტიანი გადასახადის ნორმის დაწესება, ხოლო სხვილი მესაკუთრეებისათვის კი ექვსი პროცენტის მეგიერ რვა და ათი პროცენტი გაეხადა. მაშინ იქნებოდა გადასახადის სამართლიანი განაწილება. მაშინ მცხოვრებთა შეძლებული კლასი სათათბიროს მადლიერი გახდებოდა, ხოლო სხვილი მესაკუთრეები კი გაჯავრდებოდენ, მაგრამ ეს არაფერს არ წაახდენდა. ვისაც ბევრი აქვს, ბევრიც უნდა გადაიხადოს. 4 პროცენტიანი ნორმა წვრილი მესაკუთრეს 2 მანეთით უმცირებდა გადასახადს. წვრილი მესაკუთრისათვის გადასახადის ამგვარათ შემცირება საგრძნობი არ არის. სამაგიეროთ დიდ მოგებას მისცემდა ეს იმას, ვინც ათასი, ორიათასი და სამი ათასობით იხდის. ისინი ამის გამო, რასაკვირველია, კადეტი ველიხოვს მადლობას ეტყოდენ: ასე რომ საშობაო საჩუქარის შესახებ ფრაზას აქვს საფუძველი ახლაც განვაცხადებთ, რომ ჩვენ წინააღმდეგი ვართ კანონპროეკტის მუხლობრივათ განხილვისა, ვინაიდან ჩვენის რწმენით რეალური გადასახადები სახელმწიფო ბიუჯეტში არ უნდა შედიოდეს. ჩვენ ეს გადასახადი იმგვარ გადასახადათ მიგვაჩნია, რომელიც სრულად მუნიციპალიტეტის ხელში ონდა იყოს. ჩვენ იმ აზრს, რომ ეს გადასახადები ქალაქს გადაეცეს, მხარს ვუჭერთ: წარმოვადგენთ ამ კანონპროეკტის შესაფერ შესწორებას. თუ თქვენ მოითხოვთ, რომ დღეს დაწესებული ყველა გადასახადი გადაეცეს ქალაქებსა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს, ჩვენ ამის წინააღმდეგი არაფერი გვექნება და მხარს დაგიჭერთ: ხოლო, თუ თქვენ იმ პოზიციაზე დადექით, რა პოზიციაზე დღემდი იდექით და თუ თქვენ ხაზინას 30 მილიონი მანეთი შემოსავალი გაუდიდეთ, ვიმეორებ, მაშინ ჩვენ ჩვენი პრინციპიალური მოსაზრების გამო წინააღმდეგი წავალთ. შეიძლება მკითხონ: დღევანდელი კანონის მიხედვით არჩეულ მუნიციპალიტეტთა ხელში შეიძლება თუ არა გადასახადების გადაცემაო. მაგრამ ბ.ბ., ამ საარჩევნო კანონსაც მალე აღსასრულის დღე დაუდგება: ხალხს შეუძლია მიიღოს საყოველთაო საარჩევნო უფლება და მაშინ როდესაც თავის ფულების მოხმარების უფლებას მიიღებს, ამ ფულს უკეთესად გამოიყენებს ვიდრე დღეს ფიქრობენ, ახლა კი ჩვენ კანონპროეკტის განხილვის წინააღმდეგ წავალთ. (ტაშისცემა მარცხნით) შემდეგ ვრცელ სიტყვას ამბობს მარკოვ მეორე. კანონპროეკტი ექვს პროცენტიან ნორმას ღებულობენ.

## 1913—1914.

ამ ნუმრით ვემშვიდობებით ძველს წელს და ვეგებებით ახალს!

არ შეიძლება ვსთქვათ, რომ ძველს ბევრი რამ სანუგეშო მოეცეს ჩვენთვის.

შინ და გარეთ, შინაური თუ გარეშე, უცხო თუ ნაცნობი, მეზობელი თუ სტუმარი, არც ერთი არ იშურებდა ჩვენთვის წამების გვირგვინს, მტრობა არავისგან მიგვკლებია და მეგობრობა და სიყვარული კი არავის დაუმტკიცებია.

ძველს წელს ძველი მტრობისა აჩნდა კვალი და ამ წელს უძველესმა მტრებმა ამაყათ წამოყვეს თავი და [illegible]ილაშქრეს ქართველი ერის წინააღმდეგ.

მერე ვინ იყო ჩაგრული ერის ქომაგი, ვინ განიზრახა [illegible] განკურნება, ვინ [illegible] ქომაგობას?

არავინ!

პირიქით, ჩვენმა მტრებმა, რომელთა ქვენაგრძნობებსაც აქამდი გარეგანი სიმშვიდის ზეწარი ფარავდა, ახლა გადაიძვრეს ზეწარი იგი და ლტოლვა თვისი ცხად და ნათელ ყვეს, მთელი სიგძე სიგანი იხილა ქართველმა ერმა მტერი თვისი, რომელიც აქამდი დამათრობელ ღიმილსა და გულში შხამს ინახავდა ჩვენთვის.

დაჩაგრა ქართველი ერი ძველმა წელმა და ძველმა მტრებმა, დაჩაგრა იგი ძველმა მეზობელმა, მოძველებულმა მოამაგეებმა, მაგრამ მხოლოდ დაჩაგრა და სიკვდილი მისი კი ჯერ კიდევ შორსაა.

და ვგრძნობთ, რომ ახლა თუ არა, ოდესმე მაინც შევეგებებით ახალს წელს ახალი ღიმილით, რომელიც ჩვენთა ლტოლვა იდეალთა გამარჯვებით იქნება გამოწვეული და განმასახიერებელი იქნება იმ სიხარულისა რომელსაც ჩვენი თვითარსებობის მტკიცეთ დაცვა და მისი ყოველგვარ მტერთაგან უზრუნველ ყოფა აღძრავს ჩვენში.

და, ეს უკანასკნელი დღე ძველის წლისა, უკანასკნელი იქნეს ძველის ტანჯვა-წამებისა, მაგრამ თუ მომავალ წელშიც ძველთა მტერთა შურმა და ღვარძლმა კლავ წამოყო თავი, მას კიდევ ძველებური რაინდობით გავუმკლავდეთ და სამწუხაროთ მტერთა გვეთქვას, რომ „ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეკუთნოდეს“.. და არა არს ძალა, რომელმაც ჩვენი ჩვენი ქართველობა დაგვავიწყებიოს და მრავალტანჯული სამშობლოსადმი სიყვარულის ცეცხლი ჩააქროს ჩვენში.

**იმერი.**

## ახალი ამბავი.

— როგორც მკითხველებმა იციან, გუბერნატორმა მოსთხოვა ქალაქის გამგეობას ცნობის წარდგენა ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევნების შესახებ ამ უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში. ეს

## სადგურის უფროსი.

გრიგოლი მინდიაშვილი უკვე შეურიგდა იმ აზრს, რომ სადგურ № ს უფროსობაში ამოხდებოდა სული და სხვაგან გადაყვანას ვერ ეღირსებოდა, მაგრამ მკათათვის შუა რიცხვებში საიდუმლო ბარათი მიიღო რკინის გზის მმართველობაში მოსამსახურე მეგობრისგან, რომელიცატყობიებდა: სულ ახლო მომავალში რკინის გზის უფროსი მოდის გზის დასათვალიერებლათ და ყოველ შემთხვევაში მოემზადეო.

ათი წელიწადი იმსახურა მინდიაშვილმა სადგურ №-ს უფროსათ და როდესაც კი გაახსენებდა ხოლმე უფროსებს ჯამაგირის მომატებას, მოკლე და ლაკონიური პასუხი მოუვიდოდა ყოველთვის: ვინც არ უნდა იყოს თქვენს ადგილზე, მეტს ვერ მიიღებს, რადგან უკვე დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვას ვერ შევცვლით და ვერც სადგურის შემოსავალი დაფარავდა გაზვიადებულ ხარჯებსო.

სთხოვდა სადმე, მეორე ხარისხოვან სადგურზე გადაყვანას,—ამაზეც უარსა სტკეცდენ: ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო, მეორე ხარისხოვან სადგურს ვერ ჩაგაბარებთ ამისთვის ცენზია საჭიროვო.

სიტყვა „ცენზის“ ხსენებაზე ჟრუანტელი დაუვლიდა მთელ ტანში, ვერ წარმოედგინა, რომ კლასიკურ ცოდნას რაიმე მნიშვნელობა ექნებოდა მის წარმატებისთვის.

— რა ეშმაკათ უნდათ ეს ცენზი ვერ მივხვდარვარ,—ხშირათ ჩაილაპარაკებდა მინდიაშვილი,—მეისრის თანამდებობიდან სადგურის უფროსობამდი მოვაწიე და ერთი შენიშვნაც არ მახსოვს უფროსებისგან და ახლა რა ღმერთი გამიწყრა და არ ვარგივარ პატარა შემოსავლიან სადგურის უფროსათ... გამოცდილება მაკლია თუ რა?..

მართლაც სამი წელიწადი დაყო მინდიაშვილმა მეისრეთ, მერე უფროს შემდგენელათ იყო ორ წელიწადს, შემდეგ საქონლის სადგურზე შევიდა და უბრალო მწერლობიდან ხაზინადრობამდი თითქმის ყველა თანამდებობანი გაიარა და თავისი ხუთი თითივით შეისწავლა მთელი საქმე... რკინის გზის რიცხვდაუდებელი ცირკულიარები ხომ თითოთითოთ იცოდა ზეპირათ, რა დღეს გამოიცა და მერამდენე ნუმრით...

და მხოლოდ ოცი წლის წამების შემდეგ, როგორც იქნა დანიშნეს სადგურ №-ს უფროსათ... მინდიაშვილს ახლა კი აუსრულდა დიდიხნის ნატვრა, კაცი გახდა...

სამგზავრო მატარებლის ყოველ ავლა-ჩამოვლაზე წითელი ქუდით ყოყოჩათ ივლ-ჩაივლიდა ბაქანზე და თან სახის ისეთ გამომეტყველებას მიიღებდა, თითქო ეუბნებოდა მგზავრებს: „აი, შეხედეთ, მეისრე იყავი და ახლა კი მეც კაცი ვარ, პასუხსაგები მოვალეობა დამაკისრესო“.

გადაფრინდებოდა ოცნების სამეფოში და ფიქრობდა ცხოვრების განამწარები მინდიაშვილი... შეიგნეს უფროსებმაც, სახეში მიიღეს ჩემი დამსახურება, დღეს სულ პატარა სადგური მომცეს, ხვალ კიდევ დამაწინაურებენ და ზეგ, ვინ იცის, სად ამოვყოფ თავს.

სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ექვსი-შვიდი წლის განმავლობაში ყველა მეორე ხარისხოვან სადგურებს შემოივლიდა და შემდეგ კი ძალაუნებურათ ერთი თვალსაჩინო სადგურთაგანი უნდა ჩიებარებიათ, თუნდა, როგორც აი ბათომი, ბაქო ან თფილისი; ყველაზე ძლიერ კი თფილისის სადგურზე დანიშვნა უნდოდა.

ბოლო უსათუოდ ასეთი უნდა მოყოლოდა მინდიაშვილის სადგურის უფროსათ დანიშვნას, სხვაგვარათ მას ვერ წარმოედგინა... ოცდახუთის წლის სამსახური ტყუილათ არ ჩაუვლიდა და სადღაც უდაბნოში არ ჩაკლავდენ მთელ სიცოცხლეს. ერთჯერ დაესიზმრა კიდეც, რომ თფილისის სადგურის უფროსათ დაენიშნათ, უკვე ჩაიბარა სადგური, ოთხი-ხუთი თანაშემწე თითო-თითოთ წარუდგენ, როგორც უმცროსნი უფროსს... გამოიმუშავა რაღაც ახალი წესები, გაუზიარა თანაშემწეთ და მათაც მოუწონეს მუშაობის გეგმა...

ამ დროს საქონლის მატარებელი შემოვიდა სადგურ №-ზე და მის ქშინვაგუგუნზე გამოეღვიძა მინდიაშვილს, მწარე სინამდვილე კვლავ წარმოუდგა თვალწინ თავისი სიგძე-სიგანით და მოუწამლა და მოუშხამა ტკბილი ოცნება.

* * *

სადგური №-ი ზაფხულობით ხილისა და ბოსტნეულობის საწყობს წარმოადგენდა. ახლო სოფლებიდან ჩამოტანილი, ამ სადგურიდან იგზავნებოდა სხვადასხვა მხარეს ტყემალი, ბალი, კიტრი, საზამთრო და სხვა ბოსტნეულობა.

ყოველდღე რამდენიმე ვაგონი უნდა დატვირთულიყო ხილით, ყველაზე მეტი კი ნესვი და საზამთრო: მკათათვესა და მარიობისთვის პირველ რიცხვებში მთელი სადგური საზამთროსა და ნესვის მთებს წარმოადგენდა.

ვის არ ნახავდით აქ სავაჭროთ ჩამოსულს: აქ იყო თფილისელი ფართე შალვრიანი ბაყალი *) და თან რამდენიმე სპარსელიც ახლდა, რომელნიც გლეხების თვალის ასახვევათ ყავდა ჩამოყვანილი და ისინი დამოუკიდებლათ ევაჭრებოდენ გლეხებს და ყოველთვის თავიანთ საიდუმლო ალაზე ნაკლებ ფას შეაძლევდენ, რომ თითქმის ნახევარ ფასათ ჩაეგდოთ ხელში საწყალი გლეხის წვითა და დაგვით მონაგარი. აქვე იყვენ ჩამოსული ფართლით მოვაჭრე ურიები და ორივე ვაჭარი ხელი-ხელ ჩაკიდებული აძრობდენ ტყავს საბრალო სხვერპლს.

ან ვისთვის უნდა მემართა გამოუცდელ გლეხს, რომ გადარჩენოდა ჩარჩების კლანჭებს. წარსულ წლებშიც შეკავშირდენ ვითომდა კოოპერატიულ ნიადაგზე, საქმეს ჩაუდგა სათავეში ერთი სადგურზე მოსამსახურეთაგანი, რომელმაც ვიღაც კომისიონერს უგზავნა ხილი შემოდგომამდი და გლეხებს არწმუნებდა, რომ კარგი მოგება დაგვრჩებაო. გაქნილი და გაქსუებული მოხელე და ქალაქელი კომისიონერი შეკავშირდენ და ანგარიშის გასწორების დროს კომისიონერმა რკინის გზის მმართველობიდან აღებული რაღაც საეჭვო საბუთებით დაუმტკიცა გლეხებს, რომ გაგზავნილი ხილი თითქმის ნახევარი გზაშივე წამხდარიყო და გადაეყარათ. დარჩენ გლეხები პირში ჩალაგამოვლებული, რის გამო სიახლოვეს არავის იკარიებდენ და რძით დაშინებული, დროს უბერავდენ, პირი არ დაგვწვასო.

* * *

სადგურზე ბუარებელი იყო ყოველთვის დამპალი ხილი—უფასო საკვები ქათამ ინდაურისა და ღორების, ამიტომ არც მინდიაშვილმა უღალატა წინა მოადგილეთა ტრადიციას და უთვალავი ღორი და ქათამ-ინდაური გაიჩინა. სულ ადრე დარწმუნდა მინდიაშვილი, რომ საზარალო საქმისათვის არ მოეკიდებია ხელი.

ან რატომ არ მოაშენებდა, როდესაც ყველაფერი ხელს უწყობდა: საკვები უფასო ქონდა და სადგომი და საქათმეც კი რკინის გზის მმართველობის მიერ დაწუნებული „შპალებით“ გააკეთებია სასყიდელ გაუღებლათ სადგურის დაბალ მოსამსახურეებს და მოვლითაც იგინი წყემსავდენ.

ახლო-მახლო მდებარე ყანები და ბოსტნები მაღლათ აოხრებული ქონდათ მინდიაშვილის ღორებს, მაგრამ ვინ გაბედავდა ხელის ხლებას. ეს ხომ თვით სადგურის უფროსის პირადი შეურაცხ ყოფა იქნებოდა. ესეც არ იყოს ბოსტანი და ყანები ხშირათ 3—4 არშინით გადმოცილებულნი იყო რკინის გზის ფარგალს, რის უფლებაც არ ქონდათ გლეხებს და, მაშასადამე ხელი ხელსა ბანდა და ორივე კი პირს; ოთხი არშინი სახნავი მიწით სარგებლობა სამი-ოთხი ვერსის მანძილზე დიდ რასმე ნიშნავს გლეხისათვის და რადგან მინდიაშვილი გაყუჩებული იყო, ამიტომ აღარც გლეხები გამოკიდებიან რამდენიოდე საზანთროსა. კომბოსტოს და ხუთი-ექვსი ძირი სიმინდის წახდენას...

შემოდგომაზე უკვე განადლებული იყო მთელი მმოძრავი ქონება და ორი-სამი ნეზვი ღორის მეტს არ ინახავდა მინდიაშვილი.

თუმცა ასე ჰარმონიულათ და შეწყობილათ მიმდინარეობდა მინდიაშვილის პირადი ცხოვრება, მაინც რაკი ერთიდაერთი მოსწყინდა ყოველთვის ერთგვარობა მიყრუებულ სადგურზე და სხვაგან გადასვლა მოიწადინა, გული აიცრუა და ნეტარებით მოელოდა იმ ბედნიერ წუთებს, თუ როდის მიიღებდა ბძანებას გადაყვანის შესახებ.

„მით უმეტეს საწყენი იყო ასეთი მოვლენა, რომ ზოგიერთი პირზე რძე-შეუშრობელნი ბევრათ მას შემდეგ შევიდენ სამსახურში და უკვე მატარებლის რევიზორებათაც კი დანიშნეს და ის ჯისი—რა დაბალი ლობე იყო, რომ „გაუნათლებელ“ და „ხეპრე“ გლეხებს შორის ჩაეხშო თავისი წუთისოფელი“...

ხშირათ მისი პატივცემული მეუღლე მართაც კი „ჩაუკვარახჭინებდა“ ხოლმე:

— რა კარგი იქნება, რომ სადმე აგარაკის ახლო სადგურზე გადაგიყვანონ,—და ასეთებათ გულისხმობდა ხაშურს ან ბორჯომის სადგურს,—ყოველ მატარებლის მოსვლისას გამოვიდოდი სადგურის ბაქანზე, ჩვენც ხალხში გავერეოდით და შეგვნიშნავდენ, რომ ვარსებობთ ამ ქვეყნათ... თვარა ამ ოხერ სადგურზე მატარებელი არც კია შემოსული, უკვე მეორე ზარი დარეკილია, მგზავრი ვერც კი ასწრებს ვაგონიდან გადმოხედვას და მატარებელი მიექანება თითქო აგვიანდება სადმეო..

— აბა, აბა, ქალო, მეც ეგ არა მკლავს!.. მერე ნეტავი სხვაზე ნაკლები მაინც ვიყო, მაშინ კი არ დამირჩებოდა საწყენათ...

მოწყენილი კილოთი დაუდასტურებდა მინდიაშვილი.

* * *

სწორეთ ასეთ მუსაიფში იყვენ ორივე ცოლქმარი გართული, როდესაც მეგობ-

*) ხილით და წვანილეულობით მოვაჭრეს ქართლში ბაყალს უძახიან.

ცნობები 15 იანვრამდი უნდა წარედგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელიც იხილავს არსებულ საქალაქო დებულებას. როგორც ქალაქის გამგეობის მიერ შეკრებილი ცნობებიდან სჩანს, უკანასკნელი 12 წლის გამავლობაში ხმოსანთა არჩევნები ხდებოდა ყოველთვის ერთ საარჩევნო კრებაზე ფარული კენჭის ყრით; რადგანაც ერთ სხდომაზე ვერ ირჩევდენ ხმოსანთა საკმაო რიცხვსა დამატებით არჩევნები ინიშნებოდა. არჩევნები მომხდარა 1902, 1906 და 1910 წელში. საქალაქო დებულების ძალით, ქუთაისში უნდა ირჩევდენ 60 ხმოსანს და 12 მათ კანდიდატს. ნამდვილათ კი აურჩევიათ: 1902 წელში 48 ხმოსანი, 1906—ში—60 ხმოსანი და 4 კანდიდატი, 1910 წელში კი—მხოლოდ 43 ხმოსანი. 1902 წელში ქალაქის საბჭოში აურჩევიათ 27 ძველი ხმოსანი და 21 ახალი; 1906 წელში —27 ძველი და 33 ახალი ხმოსანი, 1910 წელში კი—31 ძველი და 12 ახალი ხმოსანი. ახლანდელ საბჭოს ხმოსანთაგან თითოჯერ ყოფილა არჩეული (ორი წლის ვადით) 10 კაცი; ორჯერ —17 კაცი, სამჯერ—5 კაცი, ოთხჯერ —სამი კაცი, ხუთჯერ—2 კაცი, ექვსჯერ—3 კაცი, შვიდჯერ—1 კაცი და რვაჯერ (ე. ი. 32 წელიწადი ყოფილა ხმოსნად)—ორი კაცი. ესენი არიან დ. ნ აბდუშელიშვილი და დ. ა. ნაზაროვი.

✦ ქალაქის საბჭოს პირველი მორიგი სხდომა 1914 წელში მოხდება სამშაბათს, 7 იანვარს.

ქალაქის საავათმყოფოში ავათმყოფთა რიცხვი ისე ვერ მატულობს, როგორც მოსალოდნელი იყო (ამ ჟამათ ორმოცდაათამდეა). ამის მიზეზია, ჩვენის ფიქრით, ის გარემოება, რომ გაძნელებულია როგორც ავათმყოფის წაყვანა საავათმყოფოში, ისე მნახველების წასვლა —წამოსვლა. თუმცა ქალაქის საბჭომ კი დააწესა ეტლებზე ნიხრი,—თითო გზობა ექვსი შაური,—მაგრამ ამ ნიხრს მეეტლეები ყურადღებას არ აქცევენ და თითო გზობაში სამ-ოთხ აბაზს იღებენ. საზოგადოთ მეეტლეების თავგასულობა ყველა ჩვენგანმა კარგათ იცის და სრულიადაც მათი გამოსარჩლება არა გვსურს მაგრამ სწორეთ ვერ აგვიხსნია, რით ხელმძღვანელობდა ქალაქის საბჭო, როდესაც ასეთი ნიხრი,—ექვსი შაური, დააწესა თითო გზობაზე საავათმყოფომდი და კახიანაურამდი კი შვიდი შაური აქვს დაწესებული. კახიანაური ხომ ქალაქიდან ნახევარი ვერსით მაინც უფრო ახლოა, ვიდრე ქალაქის საავათმყოფო. სოლორის ტყეში გაშენებული! ასეთი ულოღიკობა რაღაც გაუგებრობის მიზეზი იყოს. ასეა, თუ ისე, ამგვარი შეუსაბამო ნიხრის დაწესებით ქალაქის საავათმყოფო ზარალობს, ავათმყოფები და მათი ჭირისუფლებიც და ვერც მეეტლეები რასმე იგებენ. როგორც საავათმყოფოს, ისე ავათმყოფებისა და მათი ჭირისუფლების ინტერესი მოითხოვს, რომ ქალაქის საჭოს მიერ დაწესებული ნიხრი შეიცვალოს ამგვარად: ქალაქის საავათმყოფომდი დაწესდეს არა ნაკლებ ორი აბაზისა; იქეთ და აქეთ; რომ საავათმყოფოში 15 წამით შეიძლებოდეს გაჩერება;—თოთხმეტი შაური; ვინც 15 წამზე მეტს გაჩერდება, მან ყოველ საათში ზედმეტი გადაიხადოს თოთხმეტი შაური. ამასთან კარგი იქნებოდა, რომ ქალაქის გამგეობას თვითონ შეეძინა ერთი ლინეიკა და დღეში 4—5 ჯერ წაეყვან-წამოეყვანა მნახველები. ლინეიკაზე უფრო მცირე ნიხრის დაწესებაც შეიძლებოდა, მაგალითად, თითო გზობაზე თითო აბაზი. ამგვარი ნიხრითაც ლინეიკის შემოსავალი თავის ხარჯს დაფარავდა, საავათმყოფოსა და მცხოვრებლებისთვის კი სასარგებლო იქნებოდა.

✦ გუშინ დილით ხონიდან მომავალ ორ დილიჟანს და ეტლს გუბის მახლობლათ ყაჩაღები თავს დასხმიან დილიჟანები და ეტლი მგზავრებით სავსე ყოფილა. მგზავრებ შორის ბევრი ხონელი ვაჭარი იყოო თავდამსხმელი სამი კაცი ყოფილა მათ პირისახე ყაბალახებით. ქონიათ ახვეული. თავდამსხმელთ უცემიათ, ვინც ფულის მიცემაზე გაძალიანებია. ძალიან ნაცემია სხვათა შორის ხონელი ვაჭარი ილ. ბალანჩივაძე. ნ. ნადარეიშვილისათვის ოთხასი მანეთი წაურთმევიათ. სულ ორიათას მანეთამდი წაუღიათ: გაუცარცვავთ მგზავრი ქალებიც. პირველათ თავდამსხმელებს სროლა აუტეხიათ. დაშავებული არ ვინაა. ეტლი თავდამსხმელებს რამდენიმე მანძილზე წაუყვანიათ. თვით გადმომხტარან ეტლიდან და წასულან, ხოლო ეტლი უკანვე დაუბრუნებიათ. გაცარცული ვაჭრები ბევრი უკანვე ხონს დაბრუნდა. ეს ამბავი ქუთაისისა და ხონის პოლიციას ეცნობა. გაიგზავნა დარაჯები. ქუთაისიდან და ხონიდანაც. ჯერ ვერაფერი ამოაჩინეს. დილიჟანებს წინათ დარაჯი დაყვებოდა, ახლა აღარ დაყვება.

✦ ნაფიცი ვექილი თავ. სიმონ (სისიკო) თომასძე ერისთავი ოვრუჩის მაზრის (ვოლინის გუბერნია) თავად-აზნაურობას თავის წინამძღოლათ აურჩევია.

✦ პროფესორი ვ. ნ. სპერანსკი უკვე გამოემგზავრა პეტერბურგიდან კავკასიაში საჯარო ლექციების წასაკითხავათ. ქუთაისში ბ. სპერანსკი ლექციას წაიკითხავს 5 იანვარს შემდეგ თემაზე „ჩვენი დროის ფაუსტები და მეფისტოფელები".

✦ ოცდა რვა დეკემბერს ს. შროშაში ღამის 12 საათზე ბასილა შველიძის ოჯახში მოხდა ყაჩაღებთან შეტაკება;—მოკლეს სამი ყაჩაღი, (ვინაობა გამოურკვეველია) მძიმეთ დაიჭრა ერთი საეროზო დარაჯი.

საქმე ასე ყოფილა: შველიძისთვის ბოროტგამზრახველებს შეუწერიათ გადასახდელათ ათასი მანათი, რომელიც უკვე დაუმზადებია მას მისაცემათ 28 დეკემბრისთვის,—ეს გარემოება პოლიციას შეუტყვია და იმ ღამეს გადარაჯებულა შველიძის სახლის მახლობლათ ზესტაფონის ბოქაული დარაჯებით.

✦ რედაქციამ მიიღო ხუნდაძის ესულის ფატის მიერ ნათარგმნი ვუჩეტიჩის— „წითელი ფარანი". წიგნაკი დასურათებულია, სუფთად დასტამბულია და ღირს შაურათ.

✦ სოფელ ფარცხანაყანევში მცხოვრების ტარასი ფხაკაძის დედინაცვლის უკანონოთ შობილ ვაჟს ალექსანდრეს ამ რამდენიმე თვის წინათ ცოლი შეურთავს; 27 ქრისტეშობისთვეს ცოლი ტარასი ფხაკაძის ოჯახში მოუყვანია. ტარასი ფხაკაძეს შ ბათს გაუცხადებია ადგილობრივი მამასახლისისათვის და უთხოვია ალექსანდრესი ცოლიანათ ოჯახიდან გაძევება. ალექსანდრეს კვირა დილით გამოუტანია ფისტონიანი თოფი და უსვრია ტარასისთვის. მომაკვდავისთვის დედინაცვალს სახეში ქვა დაუყოლებია. ტარასი ფხაკაძე რამდენიმე საათს შემდეგ გადაცვლილა. მკვლელი ციხე-შვილი შეიპყრეს.

## აქა-იქაური.

დღეს უკანასკნელი სულის ამოთქმაა დახავსებული ცხრაასცამეტი წლის. ამაღამ თორმეტ საათზე ყრმა ვინმე ჩაუქი წამოეპარება მა სდა გადაჩეხავს..

თორმეტ საათზე მოვა ახლად ფეხადგმული ცხრაას თოთხმეტი.

რა მშვენიერი სანახავია!

ბაგეზე რძე, თეთრი, ფუნთუშა, თოთო, ჯერ კარგათაც ენა ვერ ამოუდგამს, ღლაპია, პაწია...

საუცხოვო სტუმარია!..

კარები მოაფინა ყველამ.

სალამი შენდა, საიმედო, სანუგეშო, კარგო და უხადო.

მოდი, გენაცვალე!

ასე შეხვდა მას დიდი და მცირე, ღარიბი და მდიდარი, ყარიბი და ბედნიერი.

სასოებით, სიყვარულით.

ვუსურვოთ—გაემართლებიოს ყველას იმედი.

ვუსურვოთ—სიყვარული, სათნოება დაემკვიდრებიოს ქვეყნათ...

კაცთა შორის ერთობა...

ერთობა კეთილი გრძნობისა, კარგი სურვილებისა.

დ.

## † მეაფთიაქე ბესარიონ ჩომახიძე

(ნეკროლოგი)

შობის მეორე დღეს ქუთაისში „ოლასკურას" სასაფლაოზე ცივსამარეს მიაბარეს ცხედარი მეაფთიაქის ბესარიონ ჩომახიძისა. განსვენებული ჯერ კიდევ მხნე, 45—48 წლისა, პატიოსანი და მშვიდობიანი ადამიანი იყო. არა მცირე ღვაწლი მიუძღოდა მას სოფლის ხალხის სამსახურით; 20—25 წლის განმავლობაში ბევრ მიყრუებულ-მივარდნილი კუთხის სოფელში დაარსა აფთიაქები და თავისი რჩევა-დარიგებით შეუგნებელი ნაწილი მცხოვრებთა გადაარჩია მკითხავ-მარჩიელებთან სიარულს, რომელთა რიცხვი იმ დროს სოფლებში ყველგან აუარებელი იყო; ჩვენი გლეხობა მაშინ იმათ უფრო მეტი ნდობით და იმედით შეყურებდა, ვიდრე ექიმებს, ფერშლებსა და აფთიაქში მომზადებულ წამალს. აი, ამ დროს მან გაუწია სამსახური სოფლებს: დაარსა აფთიაქი ქვემო-რაჭაში ს. ამბროლაურში, საჩინოს მხარეში, ს. კანში, ს. გუბში, შეიძინა დიდი-ჯიხაიში აფთიაქი, რომელიც შემდეგ საზოგადოებას დაუთმო; ამ გვარათ შეაჩვია მან რაციონალურ ექიმობას სოფლის გლეხობა. ამავე დროს ის მხურვალე მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა კულტურულ-განმანათლებულ დაწესებულებებში და დახმარებას უწევდა ღარიბ მცხოვრებლებს და სოფლის შკოლის მასწავლებლებს წამლის ნახევარ ფასათ თუ უფასოთ დათმობით. განსვენებულს დარჩა ცოლი და ოთხი მცირე წლოვანი შვილი. საუკუნოთ იყოს ხსენება შენი პატიოსანო და კეთილო ადამიანო, ბესარიონ!

დუდუ ბზვანელი.

## სიტყვა

ქალაქის მოურავის ილ. ჩიქოვანის სიმონ ბესარიონის ძის ლოლობერიძის დასაფლავებაზე ქუთაისში.

სიმონ ლოლობერიძის სიკვდილით ჩვენს საზოგადოებას, ისედაც ღარიბს სასარგებლო კაცებით, კიდევ გამოაკლდა ერთი თვალსაჩინო, ფრიად სიმპატიური პიროვნება, გამოაკლდა შესამჩნევი კულტურული ძალა.

მართალია, ამ კარგი კაცის სიკვდილმა ვერ გამოიწვია ჩვენში ჩვეულებრივი ხმაურობა და განგაში; მისი ნეკროლოგებით და სამძიმრის დეპეშებით არ არის სავსე ჩვენში გაზეთები, მაგრამ განა ეს ამცირებს სიმონ ლოლობერიძის ღირსებას, ოდნავ ჩრდილავს მის კაცურ კოცობას?!

ეს მოვლენა მარტოოდენ ჩვენი დამახასიათებელია, ხოლო სიცოცხლეში წყნარი, მშვიდობიანი, უპრეტენზიო სიმონი, არც სიკვდილს შემდეგ მოითხოვდა არავისგან ხმაურობით და ზეიმით პატივისცემას.

დიახ, არა ჩვეულებრივი, თუ გნებავთ, არა ქართველური სიწყნარე, მშვიდობიანობა იყო უმთავრესად იმის მიზეზი, რომ სიმონ ლოლობერიძემ—ამ მთლიანმა პიროვნებამ, თვალსაჩინო ზნეობრივმა ძალამ ვერ მოიპოვა ფართო მასაში შესაფერი სახელი, პოპულიარობა; სხვა კი, მისი ცოდნის და ნიჭის პატრონი, ხალხის საყვარელ ტრიბუნათ გადაიქცეოდა...

ნამდვილ ევროპიულათ განათლებული, ჩინებული ისტორიკოსი სიმომ ლოლობერიძე ჩუმათ, უხმაუროთ იქმოდა თავის კულტურულს საქმეს. მოწინავე ქართველი რაზმის უკეთესი წარმომადგენელი, სამოციანი წლების ბრწყინვალე [illegible] განმსჭვალული სიმონ მუდამ [illegible] თავის საყვარელ „სამშობლოს საკეთილდღეოთ კიდევ [illegible] ბლურ ისტორიას [illegible] ლოთ მისი [illegible] ბროსეს საქართველოს ისტორიისა.

საზოგადოთ ლოლობერიძის გვარმა ბევრი სასარგებლო შვილი მისცა ჩვენს ქვეყანას. პირველი ჩვენი ინტელიგენტები სამოციანი წლების ბრწყინვალე გუნდიდან გამოვიდენ ლოლობერიძის ოჯახიდან; დაუვიწყარია ჩვენთვის როგორც საზოგადო მოღვაწე ბესარიონ ლოლობერიძე; დაუვიწყარი იქნებიან ჩვენთვის სიმონი და მისი მძები...

სიმონ ლოლობერიძის ღირსება არ განიზომება მარტოოდენ მისი საზოგადო მოღვაწეობით; მისი პირდაპირი ზეგავლენა, მისი ძალა მის მომხიბლავ, საყვარელ პიროვნებაში იყო, ახლაც თვალ წინ მიდგას და არაოდეს არ დამავიწყდება ჩემი საყვარელი მასწავლებელი, ყველასგან სიყვარულის ნიშნათ „სისოთ" წოდებული.

თვალწინ მიდგას ეს ტკბილათ, მშვიდობიანათ მოუბარი, უწყინარი, ყველას მოსიყვარულე ქართველი; თუ კი ოდესმე სათნოება ქვეყნათ მოვლენას მოისურვებდა, სწორეთ ამ კაცის თვალებში უნდა ეპოვა მყუდრო სადგური, იმდენათ სპეტაკათ უმანკოთ გამოიყურებოდენ ეს თვალები.

ჩვენმა საყვარელმა სისომ მის მრავალს მოწაფეებს გვიანდერძა თვისი უმწიკვლო სახელი და უმაღლესი სიყვარულით სავსე გული. დავიცვათ, შევინახოთ ეს ძვირფასი ანდერძი... ეს იქნება უდიდესი პატივისცემა ღირსეული კაცის ხსოვნისა...

## დაბა-სოფელი.

**ს. ხრეითი.** (ზემო იმერეთი) წლევანდელი წლის მოუსავლობა და მისი შედეგები ჩვენში გაორკეცებულია მით რომ ჩვენს მხარეს დიდი თოვლი სჩვევია, რომლის გამოც გვიან გაზაფხულამდი საურმო გზა არ გაიხსნება და ამიტომ საშვალებაც რომ იყოს, სარჩოს მოტანა თითქმის შეუძლებელია. მაგრამ საიდან იქნება საშვალება, როდესაც მთელი საზოგადოების შემოსავალს შეადგენს ქვათურაში მუშაობა და იქ ხეტყის გასაღება; და ამას კი უგზოობის გამო მოკლებული ვართ, ასე რომ ჩვენისთანა გაჭირვებაში ჩავარდნილი საზოგადოება ძვირათ თუ მოიძებნება. მაგრამ იმედს მაინც არ ვკარგავდით: ხმები დადიოდა სადღაც ზრუნვენ, ფულს აგროვებენ, სიმიდი სამი სამი წლის ვადით დაგირიგდებათო და ამის მოლოდინში ვიყავით. მართლაც, ერთ დღეს სოფლის მოხელემ შეგვატყობია, რომ სოფელ ქვაციხეში „ჩინოვნიკი" მობძანდებაო და მთელი საზოგადოება იქ ხართ დაბარებული; სია უნდა შევადგინოთ; ვის რამდენი სიმიდი გჭირდებათო,

—მივაშურეთ იმ წამში, მაგრამ როგორც ყოველთვის იმედი გაგვიცრუვდა; სანატრელი „ჩინოვნიკი" ჩვენ ვეღარ ვნახეთ, დილით ადრე გამგზავრებულიყო და მის მაგიერ ჩვენი მამასახლისი დაგვიხვდა თავისი ლადიკოთი. ამოარჩიეს ოცამდი კაცი ჩაიწერეს მათი სახელები და გამოგვიცხადეს—დანარჩენები საჭირო აღარ ხართო. ჩვენც სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილნი გავბრუნდით...

თავს კი ვეკითხებოდით:—რისთვის გვაწვალებენ? რაზე გვიბარებენ ტყულა უბრალოთ ცხრა-ათი ვერსის მანძილზე? სანამდი უნდა იქნეს ჩვენი ბედ-იღბალი წვრილ ფეხა მოხელეების ხელში?

იქაური.

—

**ს ტოლები.** (გურია.) ეს სოფელი წარმოადგენს ისეთ მთაგორიან ადგილს, სადაც თითქმის ცხენით სიარულიც გასაჭირია და საურმე გზაზე ლაპარაკიც მეტია. სოფელში დაახლოებით 80 კომლი იქნება. თითქმის ყველას საზდო-საკები რიონის პირა ჭალიდან 3—7 ვერსიდან) აქვს საზიდავი, და საუბედუროთ ჯერჯერობით მათში არ არის იმდენი განვითარება შესული, რომ უმთარხოთ თავისთვის გზა გაიკეთონ და მეტი ჯაფა ამით აიცდინონ. ს. ტოლები ეკუთვნის გულეიკარის საზოგადოებას, რომელიც დაშორებულია ტოლებიდან დაახლოებით 5-7 ვერსით. ტოლებლები რო იხოცებოდეს და სოფლის კანცელარია აქიმებით იყოს გაჭედილი, ავდრიან დღეში ვერ მოიყვანს, ისეთი გაუსვლელი გზებია, მარა აქაური მამასახლისი ყურად-

რის ბარათი მიიღო მინდიაშვილმა, რკინისგზის უფროსი მადისო...

ამ დროს უფროსის მობრძანება არაფრათ ესიამოვნა მინდიაშვილს, რადგან ეშინოდა, ვაი თუ მოუმზადებელი დავრჩეო: აუარებელი ბოსტნეულობა მიეზლვავებიათ სადგურზე და ტვირთავდენ, ეჭვი ეპარებოდა შესაფერ სისუფთავეს ვერ დავიცავ და შევრცხვები, შენიშვნას მივიღებო, მაგრამ მეტი გზა არ ქონდა უნდა შეგუებოდა უფროსის მობრძანებას...

ან რა უნდა ექნა სადღაც გადაკარგულ პატარა სადგურის უფროსს..

ჩამოვიდა იმ წუთას სადგურის ბაქანზე დაიბარა ყველა მეისრეები და მუშები და გასცა ბძანება სასტიკი და ულმობელი: „ორი საათის განმავლობაში უნდა გასუფთავებულიყო მთელი სადგური: დაეტვირთათ ვაგონები, რომ სადგურზე არ დარჩენილიყო იმის ნიშანიც კი, რომ ოდესმე იქ რაიმე ხილეულობასა და ბოსტნეულობას ქონია ადგილი".

დატრიალდენ მუშები და ელვის სისწრაფით დაკრიალეს მთელი სადგური ქვედა სემაფორიდან ზედამდი.

მინდიაშვილის მოძრავ ქონებასაც მოუბრუნდა შესაფერი ადგილი: ღორები სალორეში შეამწყვდიეს და ქათამ-ინდაური საქათმეში, ერთი სიტყვით, სადგური სადგურს დაემზგავსა და არა სალორეს.

ყველა სადღესასწაულოთ და შესახვედრათ გამოეწყო, მაგრამ იმ დღეს არავის ჩამოუვლია...

არც მეორე არც მასამე დღეს...

შიშის ქარები გაუდგა მინდიაშვილს, ნერვები აუშალა ერთ ადგილს ვეღარ ჩერდებოდა, ეჭვი დაებადა, რომ ჩუმათ ჩამოივლის სხვა დროსო...

დღეში სამ-ოთხჯერ გამოელაპარაკებოდა ტელეფონით წინა სადგურის უფროსს, ხომ არაფერი ისმის უფროსის ჩამოსვლისო?

უკვირდათ მინდიაშვილის ამგვარი კითხვები, ჭორი ეგონათ, მაგრამ მინდიაშვილი არწმუნებდა, დაცდილი სიზმარი ვნახე, უსათუოთ ჩამოივლისო, ასეთი პასუხი ხომ სასაცილოდაც არ ყოფნიდათ...

ნამდვილს არ უმჟღავნებდა და სიზმრებით ელაპარაკებოდა მინდიაშვილი, რომ ჩემზე მომზადებულათ არავინ შეხვდეს და არ დამრჩილონო...

თავისუფლათ ნავარდს მიჩვეული ღორები ვერ ისვენებდენ დამწყვდეული და ყრთი ღრიანცელი ქონდათ სალორეში, არც ირდაურები ჩამოუვარდებოდენ და ღრიანცელი ასტეხეს საქათმეში.

მეოთხე დილას ის იყო კიდევ აპირებდა ტელეფონით გამოლაპარაკებას, რომ ყრუ დუდუნი შემოესმა ტელეფონის მილში და გადმოსცეს კიდეც:

— ასრულდა შენი სიზმარი. ერთ საათში ჩამოივლის უფროსიო,—მათთვის მესამე სადგურიდან ეცნობებიათ და მინდიაშვილსაც შეატყობიეს.

მინდიაშვილმა ახლა კი არ იცოდა რით გადაეხადა რკინისგზის მმართველობაში მოსამსახურე მეგობრისათვის, რომელმაც წინეთვე გააგებია უფროსის ჩამოსვლა: კარგი მსუქანი ბურვაკი გაეგზავნა საშობაოთ თუ ინდაური.

ბოლოს ისევ იმ აზრს დაადგა, რომ შობამდი გადაავიწყდება და ორი სამი მანეთი მეც ჯიბეში ჩამრჩებაო.

ერთხელ კიდევ დაათვალიერა სადგური.

თითო-თითოთ დაიბარა სადგურზე მოსამსახურენი,—უწესოთ არავის ეცვასო.., თითონ წამოიდვა ჭეფაზე წითელი ქუდი და მწვანე და წითელი ნიშან მისაცემი ბაირაღებით, სვეტივით აიტუზა ბაქანზე... და მიეცა მომხიბლავ ოცნებას: აი, ვითომ მოვიდა კიდეც მატარებელი, ვაგონიდან გადმოვიდა გზის უფროსი და სალამს შემდეგ კითხვებს აძლევს მინდიაშვილს; ის კიდევ თვითოეულ კითხვაზე დალაგებული ახსნა განმარტებით უპასუხებს.., ვითომ ყველაფრით კმაყოფილი დარჩა გზის უფროსი და ჯერი მიდგა ახლა პირადათ თვით მინდიაშვილზე... შეეკითხა კიდეც გზის უფროსი მინდიაშვილს, ხომ კმაყოფილია სამსახურით და ვითომ ისეთი ალერსით და მოფერებით მიმართა, რომ მინდიაშვილმა გადააჭარბა კიდეც, რაც სათქმელი ქონდა... ბოლოს გადაყვანა სთხოვა და გზის უფროსმაც ჩაიწერა უბის წიგნში და სახეში მიიღო მინდიაშვილის დიდიხნის უმწიკვლო სამსახური და შეპირდა გადაყვანას უკეთეს სადგურზე.

მატარებლის სტვენამ გამოარკვია მინდიაშვილი... უახლოვდება სადგურს და სულ ახლო ისმოდა გუგუნი.

შემოვიდა სადგურზე, გაჩერდა...

რამდენიმე მოხელის თანხლებით და განყოფილებათა უფროსებით ჩამოვიდა ვაგონიდან გზის უფროსი, მინდიაშვილი იქვე წარუდგა და ყველანი სადგურის შენობისაკენ წავიდენ... დაათვალიერეს შენობა და ორისამი სულ უმნიშვნელო კითხვით მიმართა უფროსმა მინდიაშვილს, ისიც პირადათ მინდიაშვილს სულ არ შეეხებოდა...

სწრაფათ გამობრუნდენ ვაგონისაკენ..

* * *

ნათქვამია, უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო..

ის იყო მიუახლოვდენ ვაგონს, რომ სიდანღაც გაჩნდა კარგა მოზრდილი ბურვაკი და შიმშილით გამწარებული ჭყვიტინით გამოირბინა ხალხისაკენ და, თითქო განგებ, შიგ ფეხებში დაეტაკა მინდიაშვილსა და კინაღამ წააქცია, გაძვრა ვაგონებ შუეშ და სადგურის მეორე მხარეს გაიქცა...

ასეთი სცენის დანახვაზე ყველა დამსწრეს ჩუმმა ღიმილმა გაურბინა ტუჩებზე...

მინდიაშვილი და შორი-ახლოს მდგომი მისი თანამოსამსახურენი კი სამარიდან ამოღებულს უფრო ემზგავსებოდენ, ვინემ ცოცხალ არსებათ...

როდესაც ვაგონში ადიოდენ, მოძრაობის უფროსმა, რომელსაც უქვემდებარებიან სადგურის უფროსები, მკაცრათ და ირონიულათ გადმოხედა მინდიაშვილს...

მატარებელი დაიძრა!...

საბრალო მინდიაშვილები! გოქსაც კი მნიშვნელობა აქვს მათ სამსახურში დაწინაურებაზე...

გ. მუმლაძე.

საპაჭრო სახლი
**ი. გოკიელის ძმ—ბის**
ქუთაისში.

მიღებულია და იყიდება ძლიერ ზომიერ ფასებში **სადარბაზო ბარათები** საუკეთესო ხარისხის (Визитныя карточки изъ [illegible]). რუსული კალენდრები. საუკეთესო გამოცემა ლოტტო კიხნერის და სიტინის ამხანაგობისა. ქართული [illegible]. ტყავის პორტფელები. (Портфели адвокатскія, документныя и вексельныя.)
კალათები ქაღალდის ჩასაყრელი.
**27-6 31 დეკემ. გაიყიდება წვრილად ყოველნაირი კონფეტები** დაკლებულ ფასებში.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის ქ. ქუთაისში.
# ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზე.
მოეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი სათავსო სამკაული: ნავთის სამოვრები, ლუმლები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინოლიუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მჭირვალი სათავსო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.
პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10.


ღებას არ აქცევს სოფლელების გაჭირვებას და სოფლელები კი თავის უცოდინარობით უზომოთ იტანჯებიან.

**დინჯი.**

---

**ს. სვირი** (ზემო იმერეთი). თქვენი მტერი, ჩვენი საქმე კარგათ არ იყოს გზების სიცუდის გამო. თეთრ-ღელიდან დაწყებული სვირის სადგურამდი ვითომ შეკეთდა გზა, მაგრა, რაი მერე, ეს გზა სოფელს ორ-სამ ვერსზეა დაშორებული. მთელი საზოგადოება ამ შემოდგომაზე ამ გზას მოუნდა და ვის ეცალა სასოფლო გზების გაკეთებისათვის. თუ მშვიდობა იქნა და ნავები ვიშოვეთ, ეგება მიმოსვლა სულ არ შეწყდეს. მარა მშვიდობა ჩვენთვის არ დაწერილა. შიმშილი კარზე გვადგია:—შეგეწევით, შეგეწევითო გვპირდებიან, ჯერ ვერაფერს ვხედავთ. ვაი, თუ პეტრეს მოსვლამდი პავლეს სული ამოხდეს?

იქით ხანებში ერთმა აქაურმა გლეხმა ღვინო გაყიდა და გზაში ურემი გადაუბრუნდა; ოთხსაპნიანი კასრი გადმოგორდა და ძალიან დააშავა მეურმე. სასიკვდილო არაფერი უჭირსო თექვსმეტს ამ თვეს, გაცოფიანებულმა მონადირე ძაღლმა დაკბინა ოთხი წლის კაპანაძის ბავში, მეზობლის ცალი ხარი და ერთი ძაღლი. პატრონი მალე უკან გაყვა და თოფით მოკლა ნეტა ყველაფერი უბედურება ჩვენ არ გვემართებოდეს. მასწავლებელი გაგვიხდა ავათ და მისი ნაცვალი სხვა გამოგვიგზანეს, რომელსაც პაწია ტყაპატყუშიც ქე სცოდნია ბავშების.

**გიგოია.**

## ხერილები რედაქციის მიმართ.

**ბატონო რედაქტორო!**

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით გამოვაცხადო შემდეგი: ნაცვლათ გვირგვინის ყიდვისა ახლათ გარდაცვალებულის ს. ნ. ლოლაზერიძის პატივსაცემლათ ქვემო ჩამოთვლილმა პირებმა ინებეს ფულის შემოწირვა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებისათვის: გ. ლ. ქორქაშვილმა, გ. ი. გველესიანმა, ს. ნ. ლორთქიფანიძემ და ი. გ. კემულარიამ სამ სამი მანეთი; ს. ი. ხეჩინოვმა და დ. ა. ნაზაროვმა ორ ორი მანეთი, ხოლო ი. ფ. ავსარქისოვმა და ი. ის. პურადაშვილმა თითო მანეთი—სულ თვრამეტი მანეთი, რომელიც უკვე მივიღე.

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების მოლარე ბ. ფ. მოსეშვილი.

ქუთაისი 25 დეკ. 1913 წ.

---

ბ. რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ დაუთმოთ ადგილი თქვენ პატივცემულ გაზეთ „ერ"-ში შემდეგს:

ენკენისთვეში, ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი"-ს აგენტმა ივლიანე გამყრელიძემ შეკრიბა თითო მანეთი ათიოდე ქართველისგან და დაგვპირდა კვიტანციები აკაკის პოემა „რაჭა-ლეჩხუმის" გამოცემაზე, მაგრამ ჯერჯერობით არავის მიგვიღია ეს წიგნები; თვით ი. გამყრელიძემ ერთი თვეა სამსახურს თავი დაანება და წავიდა, არ ვიცით სად.

ვსთხოვთ ჟურნალ გაზეთების კანტორა „იმერეთს" გვაცნობოს მიღებული აქვს მას ზემო მოხსენებულ გამოცემაზე შეკრებილი ფული და დაგვირიგდება წიგნი თუ არა?

**სამსონ მარჯანიშვილი.**

ქ. ნახიჩევანი ერევნის გუბ.

რედაქ.-გამომცემელი **გ. ბრეგაძე.**


ახლათ გამოშვებული პაპიროზები
# „დელი-ბაბ"
10 ცალი 6 კაპ. 25 ცალი 3 შ. იყიდება ყველგან.
პაპიროზები კეთდება გამოჩენილი წვრილფურცლიანი ნამდვილი თათრული თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს.
თუთუნის ქარხანა „ბინიატ-ოღლისა" ბათუმში კომაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი

სპეციალური წიგნის მაღაზია
**კ. ოცხელისა და ამხ.**
ქუთაისში.
იყიდება ყოველ გვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი, გეოგრაფიული კარტები, სურათები თვალ საჩინო სწავლის ათვის, მწერლების სურათები, მოძრავი ანბანი და სხვა.
პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებს და ბიბლიოთეკებს ეძლევათ დიდი სადავათი.

სპეციალური საკანცელარიო მაღაზია
**დ. ოცხელისა**
ქუთაისში.
იყიდება ყოველ გვარი საკანცელარიო და სასწავლო ნივთი ახლათ მიღებულია არითმეტიკული „ჩოთქები" და ყუთები, სალებავები, საუკეთესო რვეულები, ყოველგვარი ქაღალდი, კალენდრები, პორტფელები, კანტორის წიგნები. და მრავალი სხვა.
ფასები მეტად ზომიერია.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
# „სახალხო გაზეთი"
(წელიწადი მეხუთე)
1914 წ. გამოვა ამავე პროგრამით, როგორც აქამდი გამოდიოდა კვირაობით სურათებიანი დამატება
1914 წლ. ხელის მომწერნი, ვინც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან მიიღებენ პრემიათ: პირველი წიგნი: ქართველი მწერლები: 1 „უგვარგვანი მეფე" ისტორ. დრამა 5 მოქ. ალექ. შანშიაშვილისა. 2. „მიმქრალი შარავანდი" ისტ. რომ ვ. ბარნოვისა მეორე წიგნი: უცხოეთის მწერლები: „დონ კარლოსი"—ტრაგ. შილერისა, თარგმ. გერმან. ალ. შანშიაშვილისა. და სხვ. ნაწარმოები უცხოეთის მწერლებისა მესამე წიგნი „სამეცნიერო კრებული." ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.
გაზეთის ფასი
თფილისში და მის გარეშე.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8მ.10შ. | 8 მ.—„ | 7მ.10შ. | 6მ.15შ. | 6 მ.—„ | 5მ. 5შ. | 4მ.10შ. | 3მ.15შ. | 3 მ.—„ | 2მ. 5შ. | 1მ.10შ. | — 15შ. |
| საზღვარ გარეთ. | | | | | | | | | | | |
| 15მ.—„ | 13მ15შ | 12მ.10შ | 11მ.5შ | 10მ.—„ | 8მ15შ. | 7მ.10შ. | 6მ. 5შ. | 5 მ.—„ | 3მ.15შ. | 2მ.10შ. | 1მ. 5შ. |

ცალკე ნომერი ყველგან შაურათ; დამატებიანი შვიდი კაპეკათ.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი
# „განათლება"
მიიღება ხელისმოწერა 1914 წლისთვის.
(წელიწადი მეშვიდე).
1914 წელში ჟურნალი „განათლება" ჩვეულებრივათ გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან და სიტყვაკაზმული მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.
ჟურნალში არის ცალკე განყოფილება, სადაც იბეჭდება ყოველგვარი ცნობა ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.
წლიური ფასი ჟურნალისა არის **ოთხი მანეთი** (4 მ.) მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ **სამ მანეთად**, საზღვარგარეთ 6 მან. 1914 წ. ხელისმომწერლები მიიღებენ საჩუქრათ: **ილია ჭავჭავაძის, პესტალოცის, უშინსკის, რუსოსა და კომენსკის სურათებს.**
ხელისმოწერა მიიღება **თფილისში**: ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის" რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან. ქუთაისში** ისიდორე კვიცარიძესთან, **ბათომში** ტრ. ინასარიძესთან და წიგნის მაღაზია „განთიადში", ამ ორ ადგილას და სამტრედიაში იყიდება ცალკე ნუმრებიც, თითო 2 აბაზათ.
რედაქცია სთხოვს ხელისმომწერლებს დროზე დაიგზავნონ ჟურნალი.
მისამართი: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія *Л. Г. Боцвадзе.*
რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

კ. ოცხელისა და ამხ. წიგნის საწყობში
შემდეგი გამოცემანი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ყუბანეიშვილი. | პირველდაწყებითი დარიგება სადვთო სჯულის სწავლებაზე | ფ. ყდით | 6 შაური. |
| 2. ქვარიანი. | საქართველოს მოკლე ისტორია | ფ. „ | 2 აბაზი. |
| 3. ხუნდაძე. | ქართული გრამატიკა | ფ. „ | 3 „ |
| 4. მისივე. | მოკლე ქართული გრამატიკა | ფ. „ | 1 „ |
| 5. ნიკოლაიშვილი. | მოკლე ქართული გრამატიკა | ფ. „ | 1 „ |
| 6. რობაქიძე. | სამშობლოს აღწერა | ფ. „ | 10 შაური. |
| 7. „გუთანი" | ქართული სახელმძღვანელო | ფ. „ | 17 „ |
| 8. გერსამია ღვდ. | ლოცვანი | ფ. „ | 2 „ |
| 9. დათეშიძე. | ქართული წერის დედანი | ფ. „ | 5 „ |
| 10. კიტა აბაშიძე. | ეტიუდები XIX საუკ. ქარ. ლიტ. შესახებ | ფ. „ | 14 „ |

აქვე იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი. პროვინციის წიგნის მაღაზიებს ეძლევათ დიდი სადავათი.
გვერდით გამართულია სპეციალური კანცელარიის მაღაზია **დ. ოცხელისა,** სადაც მოიპოვება სასწავლო და საკანცელარიო ნივთები ძლიერ იაფათ; ამ ჟამათ აქ მიღებულია მრავალი სავიზიტო ბარათი და კალენდარ 1914 წლისა.
ადრესი: Кутаисъ. книжный магазинъ т-ва К. И. Оцхели.

ძმა[illegible] ყორყოლაძეების მაღაზიაში
[illegible]ე ამ დღესასწაულებისთვის მიღებულია საუკეთესო ღირსების
# თ[illegible]თრი თაფლი
ალექსანდრობ[illegible]ლის „[illegible]ის ფლორის". აქვე გვაქვს ყოველი გვარი საბაკალეო სიქონელი ფასები ზომიერია.



ქ. ქუთაისში. (საკრებ. ტაძართან).
ა. თაბაძის მაღაზიაში
მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანა, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევი.
ფასები ძლიერ დაკლებულია.
ვყიდით ნისიათაც თვიური შემოტანით.

თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში ადესელ სტუდენტთა ინციატივით გამოვა ქართულ ენაზე სამეცნიერო სალიტერატურო კრებული
# „ცხოვრება და მეცნიერება,"
რომელშიაც მონაწილეობას იღებენ სტუდენტების გარდა ადგილობრივ უნივერსიტეტში მომუშავე სამეცნიერო ძალები. სუფთა შემოსავალი ამ კრებულიდან გადაიდება ადესის ქართულ საზოგადოების „საქართველო"-ს სასარგებლოთ.
შინაარსი.
პრ.—დოც: ს. ავალიანი. დროებით გაღვებულ გლეხთა საკითხი. ორდინატორი ნერვიულ კლინიკისა ექიმი ს. ყიფშიძე: საუბარი ტვინის ფუნქციებზე. პროზექტორი ანატომიურ თეატრისა ექიმი ნ. კახიანი: ნორმალურ ანატომიის შესავალი (უჯრედი და ქსოვილი). ორდინატორი გენერალურ კათეთრაზე ექიმი მ. ცეცხლაძე: ადამიანის სქესობრივი ცხოვრება. სტუდენტი ვ. ქავთარაძე: ანაბიოზი სტ. ქ. რაზმაძელიშვილი. საუბარი ხელოვნების შესახებ. სტ. ს. ასლანიშვილი. სამცხე საათაბაგოს სიძველენი. სტ. გ. კარბელაშვილი. ახალგაზრდები (მოთხ. სტუდ. ცხოვ.) სტ. დ. [illegible] ბავშის [illegible]. სტ. გ. ურუშაძე. რადის მნიშვნელობა მედიცინაში.
ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში ალექსანდრეს ქუჩა. ზ. კოკოჩაშვილის სახლი. ხელის მოწერით წიგნი ღირება ერთი მანეთი, შემდეგ 1 მ. 10 შ.

გრძელდება ხელისმოწერა
# „სასოფლო გაზეთზე."
24 ნოემბ. უკვე შესრულდა მისი არსებობის ერთი წელიწადი.
მიიღება ხელისმოწერა 1914 წლისთვის.
წლიური ფასი . . . . 4 მან.
ნახევარი წლის . . . . 2 მან.
ფულის შემოტანა შეიძლება ორჯერ:
2 მანეთი დაკვეთისთანავე, 2 მანეთიც პირველ მაისისათვის.
მთელი წლის ხელისმომწერთ გაეგზავნებათ საჩუქრათ ბოსტნეულობის საკვები ბალახის თესლები და წიგნაკები.
ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი ადრესით: Кутаисъ С. Х. Школа, Александру Давидовичу Шарашидзе.